საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

MINISTRY OF INTERNALLY DISPLACED PERSONS FROM THE OCCUPIED TERRITORIES, LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო

LEPL REGULATION AGENCY FOR MEDICAL AND PHARMACEUTICAL ACTIVITIES

KA030220023983820

საქართველო, თბილისი 0119, აკ. წერეთლის გამზ. 144, ტელ; (+995 32) 2 72 53 84

144 AK. TSERETELI AVE, 0119, TBILISI, GEORGIA, TEL.: (+995 32) 2 72 53 84

№ 02/1910

14 / თებერვალი / 2020 წ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრის პირველ
მოადგილეს, ქალბატონ თამარ გაბუნიას

ქალბატონო თამარ,

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოში გადმოგზავნილ (N01/1048 29.01.20წ) იქნა, საქართველოს პარლამენტის (2020 წლის 21 იანვრის N713/4-2/20) წერილი, რომლითაც მოთხოვნილია ინფორმაცია, ,,2018 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 20 სექტემბრის N5003-Iს დადგენილებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის შესახებ.

მოგახსენებთ, რომ სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, წარმოებს მოქალაქეთა განცხადებების/საჩივრების შესწავლა პაციენტის სამედიცინო დოკუმენტაციაში არსებულ ჩანაწერებზე დაყრდნობით. აღნიშნული ხორციელდება იმ სამედიცინო დაწესებულებებში, რომლებიც მითითებულია მოქალაქეთა განცხადებებსა და საჩივრებში. საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, კლინიკური შეფასებისათვის, ხორციელდება პაციენტის სამედიცინო დოკუმენტაციის გადაგზავნა დარგის ექიმ-სპეციალისტებთან. საკითხის შესწავლის დაჩქარებისა და შემჭიდროებულ ვადებში დასრულების მიზნით, სააგენტოში დაინერგა, კლინიკური შეფასებისათვის, დარგის ექიმ-სპეციალისტებთან განსახილველი დოკუმენტაციის ელექტრონული ფორმატით მიწოდების პრაქტიკა. ასევე, ელექტრონული ფორმატით ხდება სააგენტოში სარეცენზიო დასკვნების წარმოდგენაც. აღნიშნულმა პრაქტიკამ მნიშვნელოვნად შეამცირა საკითხის შესწავლის/განხილვის ვადები. გაწეული სამედიცინო დახმარების შესწავლის დასრულებისას, დარღვევა-ნაკლოვანებების გამოვლენის შემთხვევაში, საკითხის შესწავლის შედეგები, გონივრულ ვადებში, ეგზავნება პროფესიული განვითარების საბჭოს.

მოქალაქეთა განცხადებების/საჩივრების შესწავლისას მაქსიმალურად უზრუნველყოფილია მხარეთა ჩართულობა და გათვალისწინებულია მოქალაქის პრეტენზიები და განცხადებაში მოყვანილი ფაქტები. პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ საკითხის განხილვას, ყველა შემთხვევაში, მხარეთა ჩართულობა და განხილვის თაობაზე მათი ინფორმირება (ადგილის და დროის მითითებით), ხორციელდება წერილობითი და/ან სატელეფონო შეტყობინებით. რეგულირების სააგენტოში შემუშავებულ იქნა პაციენტებისათვის გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარისთან დაკავშრებით დაინტერესებული მხარეებისთვის საკითხის შესწავლის ნებისმიერ ეტაპზე, ინფორმაციის მიწოდების სტანდარტული პროცედურები. მათ შორის, პროფესიული განვითარების საბჭოს გადაწყვეტილებ(ებ)ის თაობაზე.

რაც შეეხება ფსიქიატრიული დაწესებულებების კონტროლის განხორციელების საკითხს, 2019 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე, რეგულირების სააგენტოს მიერ, სამედიცინო დაწესებულებების სანებართვო პირობების შემოწმება განხორციელდა გეგმა-გრაფიკის მიხედვით (შპს "აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში" და შპს "ქუთაისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში").

ამასთან, მიმდინარე წელს, დაგეგმილია (დამტკიცებული გეგმა-გრაფიკის მიხედვით) სტაციონარული დაწესებულებების სანებართვო პირობების შემოწმება, მათ შორის, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში.

გამჭვირვალობისა და ხელმისაწვდომობის პრინციპების გათვალისწინებით, სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს ელექტრონულ რესურსზე, პროფესიული განვითარების საბჭოს შესახებ ინფორმაციის განთავსების რეკომენდაციასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ სააგენტოს ვებგვერდზე -rama.moh.gov.ge არსებობს ველი -,,პროფესიული განვითარების საბჭო'', სადაც ხდება საბჭოს ზოგადმარეგულირებელი გადაწყვეტილებების განთავსება. გარდა ამისა, შემუშავებულია საჯარო ინფორმაციის გაცემისა და პროაქტიულად გამოქვეყნების უზრუნველყოფის წესი.

შესაბამისად, რეგულირების სააგენტოს ვებგვერდზე არსებული საჯარო ინფორმაციის ველით, უზრუნველყოფილია, პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი, საზოგადოებრივი ინტერესის შემცველი საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

პატივისცემით,

დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ზაალ კაპანაძე